სამოგზაურო დაზღვევის ზოგადი პირობები
#R/TIP-001/24

1. გამოყენებული ტერმინები:

დამზღვევი – წარმოადგენს პირს, რომელიც აფორმებს **დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან** და იხდის **სადაზღვევო პრემიას**;

დაზღვეული - საქართველოს მოქალაქე, რომლისთვისაც **დამზღვევმა** გადაიხადა **სადაზღვევო პრემია** და რომელიც **დამზღვევის** მიერ მითითებულია შესაბამის **სადაზღვევო პოლისში**;

სადაზღვევო პოლისი (პოლისი) – ჩვენ მიერ გაცემული ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებას წინამდებარე პირობების შესაბამისად და ასახავს **დაზღვევის** სპეციფიკურ პირობებს.

დაზღვევის ზოგადი პირობები - შესაბამის ელექტრონულ მისამართზე განთავსებული წინამდებარე პირობები, რომლებსაც **თქვენ** დაეთანხმეთ დაზღვევის შეძენის დროს.

დაზღვევის ხელშეკრულება – ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს წინამდებარე დაზღვევასთან დაკავშირებით **ჩვენ** და **თქვენ** შორის წარმოშობილ ურთიერთობას და უფლება-ვალდებულებებს და რომელიც შედგება **სადაზღვევო პოლისისა** და წინამდებარე პირობებისგან;

ასისტანსი – ჩვენი პარტნიორი სპეციალიზირებული მომსახურების მიმწოდებელი კომპანია, რაც გულისხმობს სადღეღამისო სატელეფონო კონსულტაციას და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას და შესაბამის მხარდაჭერას; დასახელება – სავიტა ჯგუფი, ტელეფონი **+ 7 495 987 17 75, + 49 302 178 25 34.**

სადაზღვევო შემთხვევა – დაფარული დღეების განმავლობაში დამდგარი შემთხვევა, რომელიც დაფარულია წინამდებარე დაზღვევით და რის გამოც წარმოიშობა **მზღვეველის** ვალდებულება, გასცეს **სადაზღვევო ანაზღაურება** წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით;

მოგზაურობა – **დაფარულ ტერიტორიაზე დაზღვეულის** მოგზაურობა:

- **პოლისში** მითითებული დროის შუალედის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 365 დღეს (ერთჯერადი პოლისისთვის);

- **დაზღვევის პერიოდში** იმ დღეების განმავლობაში, რომლებიც ექვემდებარება დაფარვას და რომელთა ჯამური ოდენობა მითითებულია **სადაზღვევო პოლისში**. (მრავალჯერადი პოლისისთვის);

- შენიშვნა 1: თუ **თქვენი** მოგზაურობის ხანგრძლივობამ გადააჭარბა **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **დაფრული დღეების** რაოდენობას, თქვენი დაფარვა შეწყდება **პოლისით** განსაზრვრული უკანასკნელი დღის გასვლის მომენტიდან;

- შენიშვნა 2: **მოგზაურობა** უნდა დაიწყოს და დასრულდეს საქართველოში;

არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობა – ჯანმრთელობის მდგომარეობა**,** რომლის სიმპტომები გამოვლინდა ან რომლის გამო დაზღვეულმა, ან დაზღვეულის **ოჯახის წევრმა**, მიმართა ექიმს, ჩაიტარა გამოკვლევა დიაგნოსტიკა ან მკურნალობა, მიიღო რეკომენდაცია შემდგომი/დამატებითი მკურნალობის ან გამოკვლევის ჩატარებაზე ან რომლისთვის დაინიშნა ან შეიცვალა მედიკამენტური მკურნალობა, **პოლისის** და/ან მოგზაურობის შეძენის თარიღამდე 12 თვის განმავლობაში;

ექიმი - შესაბამისი სერტიფიკატის / ლიცენზიის მქონე დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი ექიმი სპეციალისტი, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ხორციელდება მკურნალობა და ატარებს ასეთ მკურნალობას აღნიშნული ლიცენზიის და კვალიფიკაციის ფარგლებში და რომელიც არ იმყოფება ნათესაურ კავშირში (სისხლით ან ქორწინებით) არც ერთ **დაზღვეულთან;**

ელექტრონული განაცხადი (განაცხადი) – ჩვენ მიერ დადგენილი ფორმით **თქვენ** მიერ ელექტრონულად შევსებული კითხვარი **ჩვენ** ვებგვერდზე, რომელიც მოიცავს **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებისთვის აუცილებელ ინფორმაციას, **განაცხადი** ივსება ელექტრონულად **სადაზღვევო პოლისის** გაცემამდე და წარმოადგენს **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმების აუცილებელ წინაპირობას და მასში მითითებული ინფორმაციის

სისწორეზე სრულად აგებს პასუხს **დამზღვევი.** იმ შემთხვევევაში თუ დაზღვევის შეძენა ხდება უშუალოდ **მზღვეველის** ოფისში, დაზღვევა ხორციელდება **განაცხადის** შევსების გარეშე, **დამზღვევის** მიერ **მზღვეველისთვის** წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

დაზღვევის პერიოდი – **სადაზღვევო პოლისში** მითითებული დროის შუალედი.

დაფარული დღე (არ ვრცელდება **მოგზაურობის** გაუქმების დაფარვაზე, რომლისთვისაც შესაბამისი განმარტება მითითებულია ამ დაფარვის სპეციალური ტერმინების პუნქტში) - ნებისმიერი დღე, რომელიც ეკუთვნის **დაზღვევის პერიოდს** და რომლის განმავლობაშიც მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა. **დაფარული დღეების** რაოდენობა მითითებულია შესაბამის **სადაზღვევო პოლისში.**

ლიმიტი დაზღვეულზე (ლიმიტი) – პოლისში განსაზღვრული თანხა, რომელიც წარმოადგენს **ჩვენ** მიერ პოლისით გათვალისწინებული ყველა სადაზღვევო დაფარვისთვის ჯამურად გასაცემი **სადაზღვევო ანაზღაურების** ზედა ზღვარს თითოეულ **დაზღვეულზე.**

ქველიმიტი დაზღვეულზე (ქველიმიტი) – პოლისში განსაზღვრული თანხა, რომელიც წარმოადგენს **ჩვენ** მიერ კონკრეტული სადაზღვევო დაფარვისთვის გასაცემი ჯამური **სადაზღვევო ანაზღაურების** ზედა ზღვარს თითოეულ **დაზღვეულზე. ქველიმიტი** წარმოადგენს **ლიმიტის** ნაწილს.

დაფარული ტერიტორია (არ ვრცელდება **მოგზაურობის** გაუქმების დაფარვაზე, რომლის განმარტება მითითებულია შესაბამისი დაფარვის სპეციალური ტერმინების პუნქტში) – **სადაზღვევო პოლისში** მითითებული საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიული არეალი/ქვეყანა;

ფრანშიზა – **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული ზარალის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია **პოლისში** და არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას (წარმოადგენს **დამზღვევის/დაზღვეულის** პასუხისმგებლობას);

სადაზღვევო პრემია (პრემია) - თანხა, რომელიც **თქვენ** უნდა გადაგვიხადოთ დაზღვევის შესაძენად ერთჯერადად. **სადაზღვევო პრემიის** გადახდამდე **სადაზღვევო პოლისი** არ გაიცემა ;

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას, გაიცემა **ჩვენ** მიერ დაზღვევის პირობების შესაბამისად;

რეგრესული უფლება – **თქვენ/დაზღვეულის** მიერ **ჩვენთვის** მესამე პირის მიმართ არსებული **თქვენი** მოთხოვნის უფლების გადმოცემა და ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის გაფორმებაში და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა.

ჩვენ, ჩვენი– მზღვეველი, "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";

თქვენ, თქვენი – დამზღვევი ან დაზღვეული (კონტექსტის შესაბამისად)

მხარე/ მხარეები – დამზღვევი/დაზღვეული და მზღვეველი

2. განსაკუთრებული პირობები:

2.1. ერთჯერადი **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული დაფარვა ვრცელდება მხოლოდ ერთ დაგეგმილ **მოგზაურობაზე.**

2.2. იმ შემთხვევაში, თუ **მზღვეველი** ჩათვლის საჭიროდ, მისი ნდობით აღჭურვილი ექიმი-ექსპერტი უფლებამოსილია გამოკვლევა ჩაუტაროს **დაზღვეულს** და გაეცნოს მის ავადმყოფობის ისტორიას;

2.3. წინამდებარე დაზღვევა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **პოლისი** გაცემულია **დაზღვეულის** მიერ მოგზაურობის დაწყებამდე. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ ახალ (არაუმეტესი დაფარვის მქონე) **პოლისზე**, რომელიც შეძენილია **დაზღვეულის** მიერ **მოგზაურობის** გახანგძლივების გამო მისი არსებული სამოგზაურო **პოლისის პერიოდის** გაგრძელების მიზნით, იმ პირობით, რომ ასეთი ახალი **პოლისი** გაცემულია არსებული **პოლისით** გათვალისწინებული სადაზღვევო დაფარვის მოქმედების პერიოდის განმავლობაში და გაცემის დროისათვის ხსენებულ მოქმედ **პოლისზე** ზარალები არ არის ცნობილი ან გაცხადებული.

2.4. წინამდებარე დაზღვევა ძალაშია მხოლოდ **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **დაფარული ტერიტორიის** ფარგლებში და **დაფარული დღეების** პერიოდში მომხდარი **სადაზღვევო შემთხვევისას**. ამასთან თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა დაფარული დღეების განმავლობაში, მაგრამ დაფარული დღეების ამოწურვის მომენტისთვის, დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა ამ სადაზღვევო შეთხვევით განპირობებული და წინამდებარე დაზღვევის პირობებით დაფარული მკურნალობის გაგრძელება, მაშინ სადაზღვევო

დაფარვის მოქმედება ამ სადაზღვევო შემთხვევასთან მიმართებაში გაგრძელდება წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად დაფარული დღეების ამოწურვის შემდეგაც, ოღონდ დაფარული დღეების ამოწურვის მომენტიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა ან იმ მომენტამდე როდესაც დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა რეპატრიაციის შესაძლებლობას (რომელიც უფრო ადრე დადგება)

2.5. წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ უეცარი და მოულოდნელი მიზეზების ან შემთხვევების შედეგად წარმოქმნილ ზარალზე. დაზღვევით არ იფარება მიზეზები ან შემთხვევები, რომელიც **პოლისის** შეძენის მომენტისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო **დაზღვეულისათვის.** ამასთან, თუ დაფარული დღეების განმავლობაში დაზღვეული აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ მისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არ აღმოჩენის შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება, მაშინ მიუხედავად წინამდებარე დაზღვევის პირობების ამის საწინააღმდეგო ნებისმიერი დებულებისა, ამ დაზღვევით იფარება ნებისმიერი ხარჯი, რომლის გაწევა აუცილებელია დაზღვეულის ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად პოლისში მითითებული გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობის ხარჯების ქველიმიტის ან გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯების ქველიმიტის ფარგლებში, იმისდამიხედვით თუ რა ტიპის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენა იქნება საჭირო.

3. ძირითადი სადაზღვევო დაფარვა

გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და რეპატრიაცია

3.1. მოგზაურობის განმავლობაში **დაზღვეულის** უეცარი და მოულოდნელი ავადმყოფობის, სხეულის დაზიანების ან **გარდაცვალების** შედეგად **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას, **ჩვენ** ვუზრუნველყოფთ **ასისტანსის** 24-საათიან საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას და **სადაზღვევო პოლისში** თითოეულ **დაზღვეულთან** მიმართებაში განსაზღვრული შესაბამისი **ქველიმიტის** ფარგლებში, ავანაზღაურებთ:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარჯებს;
- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს;
- გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობის ხარჯებს;
- გადაუდებელი სტომატოლოგიური მკურნალობის ხარჯებს;
- გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მკურნალობის ხარჯებს;
- დაზღვეულის რეპატრიაციის ხარჯებს;

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევზღუდოთ **სადაზღვევო ანაზღაურება** იმ ოდენობამდე, რამდენსაც **ჩვენ** მიერ უფლებამოსილი სამედიცინო ექსპერტი ჩათვლის გონივრულად.

გადაწყვეტილება ავადმყოფი/დაშავებული **დაზღვეულის რეპატრიაციის** შესახებ მიიღება **ჩვენ** მიერ უფლებამოსილი სამედიცინო ექსპერტის მიერ მკურნალ ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე. თუკი ამ გადაწყვეტილების მიხედვით გარკვეული თარიღი მიჩნეული იქნება როგორც მიზანშეწონილი და გონივრული **რეპატრიაციის** განხორციელებისთვის, ხოლო **თქვენ,** ამის მიუხედავად, გადაწყვეტთ საზღვარგარეთ დარჩენას, **ჩვენ** მიერ გასაცემი ანაზღაურება ამ დაფრვის ფარგლებში შეიზღუდება იმ ოდენობამდე, რამდენსაც გადავიხდიდით იმ შემთხვევაში, რომ განხორციელებულიყო **რეპატრიაცია** ექსპერტის რჩევის მიხედვით.

3.2. სპეციალური ტერმინები ძირითადი დაფარვისთვის

გადაუდებელი მდგომარეობა – უბედური შემთხვევის ან უეცარი და მოულოდნელი ავადმყოფობის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (რაც არ ხვდება გამონაკლისების ნუსხაში), რომელიც აუცილებლად საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;

სასწრაფო სამედიცინო დახმარება – უბედური შემთხვევის ან უეცარი ავადმყოფობის გამო, შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ **დაზღვეულისთვის** გაწეული მომსახურება და/ან **დაზღვეულის** ტრანსპორტირება უახლოეს **სამედიცინო დაწესებულებაში**, სადაც შესაძლებელია მისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაწევა;

გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობა - **გადაუდებელ მდგომარეობაში** მყოფი **დაზღვეულისთვის** გაწეული სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ საჭიროებს **სამედიცინო დაწესებულებაში** 24 საათზე მეტი ხნით დაყოვნებას;

გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობა - **გადაუდებელ მდგომარეობაში** მყოფ **დაზღვეულისთვის** გაწეული სამედიცინო მომსახურება, რომელიც საჭიროებს **სამედიცინო დაწესებულებაში** 24 საათზე მეტი ხნით დაყოვნებას;

საწოლ-დღე – კალენდარული დღე, რომელიც აითვლება **დაზღვეულის** სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების მომენტიდან და რომლის ხანგრძლივობა 24 საათია. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის ბოლო დღე ვერ შეადგენს 24 საათს, იგი მიიჩნევა საწოლ-დღედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევა უწყვეტად მიმდინარეობდა.

გადაუდებელი სტომატოლოგია – კბილის მწვავე ტკივილის კუპირება და კბილის გადაუდებელი ექსტრაქცია დიაგნოზის შესაბამისად;

გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მკურნალობა – სამედიცინო მომსახურება, რომელიც გაეწევა **დაზღვეულს** თვალის მწვავე ტრავმული დაზიანების შემთხვევაში;

რეპატრიაცია – ავადმყოფი, დაშავებული **დაზღვეულის** (გარდაცვალების შემთხვევაში – დაზღვეულის ცხედრის) ავია ან ავტო ტრანსპორტირება (**დაზღვეულის** გარდაცვალების შემთხვევაში ასევე სასახლისა და გარდაცვლილის ტრანსპორტირებისთვის საჭირო მომსახურება) საქართველოს უახლოეს საერთაშორისო აეროპორტამდე ან საქართველოს ტერიტორიის უახლოეს სასაზღვრო გამტარ პუნქტამდე;

დაზღვეულის გარდაცვალება – **დაზღვეულის უბედური შემთხვევით** ან ნებისმიერი ბუნებრივი მიზეზით (რაც არ ხვდება გამონაკლისების ნუსხაში) გამოწვეული გარდაცვალება;

სამედიცინო დაწესებულება – **სადაზღვევო პოლისში** მითითებულ ტერიტორიულ არეალში/ქვეყანაში სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;

უბედური შემთხვევა – უეცარი, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალ(ებ)ის ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს **დაზღვეულის გარდაცვალებას** ან სხეულის დაზიანებას, რაც იწვევს **დაზღვეულის** შრომისუუნარობას ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას.

3.3. ძირითადი დაფარვის გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება :

3.3.1. იმ დაავადებების ხარჯები, რომელიც ხელს არ უშლის **დაზღვეულს მოგზაურობის** გაგრძელებაში;

3.3.2. ჩვენი დასტურის გარეშე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

3.3.3. იმ მკურნალობის ხარჯები, რომლის ჩატარების გადადება, **ჩვენი** ექიმი-ექსპერტის აზრით, გონივრულად შეიძლებოდა **დაზღვეულის** საქართველოში დაბრუნებამდე.

3.3.4. პანდემიით, ეპიდემიით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.3.5. ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას მიღებული დაზიანებით, ავადმყოფობით, ასევე, **ექიმის** დანიშნულების გარეშე მიღებული წამლების მომწამვლავი ეფექტით გამოწვეული ხარჯები;

3.3.6. კანონსაწინააღმდეგო ქმედებისას, თვითმკვლელობით, თვითდაშავებით ან მათი მცდელობისას მიღებული დაზიანებით გამოწვეული ხარჯები;

3.3.7. არსებულ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ქრონიკულ დაავადებებთან, **დაზღვეულის** თანდაყოლილ ფიზიკურ ან გონებრივ დეფექტებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

3.3.8. ფსიქიკური ან ემოციური აშლილობით, დაავადებებით გამოწვეული ხარჯები;

3.3.9. ონკოლოგიური დაავადებებით და მათი გართულებებით გამოწვეული ხარჯები;

3.3.10. ორსულობასთან, მშობიარობასთან და/ან მათ გართულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ამასთან საშვილოსნოს გარე ორსულობასთან დაკავშირებული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯები ექვემდებარება ანაზღაურებას;

3.3.11. კონტრაცეფციის, უნაყოფობის კვლევასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.3.12. იმ დაავადებათა მკურნალობის ხარჯები, რომლებიც გამოვლინდა დაზღვეულის მოგზაურობამდე და რომელთა მკურნალობაც არ განხორციელებულა ან არ დასრულებულა საზღვარგარეთ გამგზავრებამდე;

3.3.13. შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, B და **C** ჰეპატიტის და მათი გართულებების მკურნალობის ხარჯები;

3.3.14. შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია **დაზღვეულის** მიერ არააუცილებელ და/ან ნებაყოფლობით ხიფათში თავის ჩაგდებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას);

3.3.15. ალტერნატიული (ტრადიციული და/ან არატრადიციული) მედიცინის, აკუპუნქტურის, პლაზმაფერეზის, ოზონოთერაპიის, ჰომეოპათიის, მეზოთერაპიის, ლოგოპედის, ექიმ-ჰომეოპათის, სამკურნალო ვარჯიშისა და სამკურნალო მასაჟის, ლაზეროთერაპიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციური და სანატორიულ–კურორტული მკურნალობის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის ხარჯები;

3.3.16. პროთეზირებისა და ტრანსპლანტაციის ხარჯები;

3.3.17. გეგმური პროფილაქტიკური ვაქცინაციის (აცრის) ხარჯები (გარდა გადაუდებელი ვაქცინაციისა, რომლის განხორციელება აუცილებელია **დაზღვეულის** სიცოცხლის გადასარჩენად);

3.3.18. არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებსა და სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე კერძო პირებთან კონსულტაციისა და მკურნალობის ხარჯები;

3.3.19. შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია დაზღვეულის პროფესიული ან/და სამოყვარულო სპორტში მონაწილეობასთან, ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვასთან, დელტაპლანითა და პარაშუტით ხტომასთან, წყალქვეშ ყვინთვასთან ან სხვა სახეობებთან, რომელიც შეიცავს დაშავების მომატებულ რისკს;

3.3.20. სამედიცინო მკურნალობის, კონსულტაციის, დიაგნოსტიკის და **რეპატრიაციის** ხარჯები, თუ აღნიშნული წარმოადგენს **მოგზაურობის** მიზანს;

3.3.21. სათვალის, ლინზების, კონტაქტური ლინზების და სმენის აპარატის შერჩევასა და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები; ასევე, ნებისმიერი არასამკურნალწამლო (ბანდაჟი, კორსეტი, სუპინატორი, სამედიცინო დანიშნულების საგანი, სტომატოლოგიაში გამოყენებადი დამხმარე საშუალებები და სხვა), ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებების (მათ შორის, ნებისმიერი სახის კბილის პასტა, შამპუნი, საპონი) ღირებულება/ხარჯები;

3.3.22. საჰაერო და სარკინიგზო კატასტროფის შედეგად **დაზღვეულის** დაზიანებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ან გარდაცვალებისას მისი **რეპატრიაციის** ხარჯები;

3.3.23. შეიარაღებული ძალების მანევრებსა და საწვრთნელ მეცადინეობებში მონაწილეობისას მიღებული დაშავებით გამოწვეული მკურნალობის ხარჯები;

3.3.24. ნებისმიერი კარდიოქირურგიული და კარდიო-ინვაზიური მეთოდებით მკურნალობის (აორტო-კორონალური შუნტირება, ბალონური ანგიოპლასტიკა, სტენტირება და სხვა) ხარჯები;

3.3.25. იმ შემთხვევაში, როდესაც **დაზღვევის პირობებში** მითითებული გამონაკლისების მიხედვით არ ხდება მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, ასევე არ მოხდება **რეპატრიაციის** ხარჯების დაფარვაც;

3.3.26. ნებისმიერი სახის სამედიცინო ცნობის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.3.27. ომის, დაპყრობის, უცხოელი მტრის ქმედებების, საომარი მოქმედებების (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომის, საზოგადოებრივი არეულობის ან მღელვარების, აჯანყების, რევოლუციის, ამბოხების, მანიფესტაციის, ლოკაუტის, გაფიცვის, საბოტაჟის ან ტერორიზმის ნებისმიერი აქტის დროს მომხდარი უბედური შემთხვევებით გამოწვეული ხარჯები;

3.3.28. რადიოაქტიური გამოსხივებით ან დაბინძურებით, ასევე ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.3.29. შემთხვევები, რომელიც დადგა მოგზაურობის ქვეყანაში/არეალში არალეგალურად ყოფნის დროს;

3.3.30. ნებისმიერი ხარჯები, რომელიც გაღებულია საქართველოში.

4. დამატებითი დაფარვები

ძირითადი დაფარვის გარდა დაზღვევა ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს 4.1. – 4.4. პუნქტებით განსაზღვრულ დამატებით დაფარვებს.

4.1. მოგზაურობის გაუქმება და/ან ვადაზე ადრე შეწყვეტა
4.1.1. ჩვენ ავანაზღაურებთ

ა. მოგზაურობის გაუქმების შემთხვევაში:
დაფარულ ხარჯებს, რომლებიც გადახდილია **დამზღვევის/დაზღვეულის** მიერ და არ ექვემდებარება **დამზღვევისთვის/დაზღვეულისათვის** დაბრუნებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას, თუ **მოგზაურობის** დაწყებამდე **დაზღვეული** იძულებული გახდება გააუქმოს **მოგზაურობა, დაფარული დღეების** განმავლობაში რომელიმე **დაზღვეული რისკის** (გაუქმების მიზეზის) ხდომილების შედეგად;
ბ. მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში:
თქვენ მიერ საქართველოში დასაბრუნებლად დამატებით გაწეული ხარჯებიდან ბილეთის გამოცვლისა ან ერთი გზა ეკონომ-კლასის ბილეთის შეძენის შორის უმცირესს, ასევე **დაფარული ხარჯების** გამოუყენებელი ნაწილის იმ ოდენობას, რომელიც არ ექვემდებარება **დამზღვევის/დაზღვეულისათვის** დაბრუნებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას, გარდა უკვე წინასწარ შეძენილი უკან დასაბრუნებელი ბილეთის ღირებულებისა, იმ შემთხვევაში
თუ გამგზავრების შემდგომ **დაზღვეული** იძულებული გახდება ვადაზე ადრე შეწვიტოს **მოგზაურობა დაფარული დღეების** განმავლობაში რომელიმე დაზღვეული რისკის (ვადაზე ადრე შეწყვეტის მიზეზის) ხდომილების შედეგად,
იმ პირობით, რომ არც ერთ **დაზღვეულს პოლისის** გაცემის და/ან **მოგზაურობის** შეძენის დროისათვის არ ჰქონდა არანაირი საფუძველი გონივრული ვარაუდისა, რომ ასეთი მიზეზი საფუძვლად დაედებოდა **მოგზაურობის** გაუქმებას და/ან ვადაზე ადრე შეწყვეტას.

ასანაზღაურებელი თანხა შემოიფარგლება **პოლისში** თითოეულ **დაზღვეულთან** მიმართებაში მითითებული შესაბამისი ქველიმიტით.

4.1.2. დაზღვეული რისკები (გაუქმების/ვადაზე ადრე შეწყვეტის მიზეზები):
დაზღვეულ რისკს წარმოადგენს **დაფარული დღეების პერიოდში**:

ა) **დაზღვეულის** სასამართლოში მოწმის სახით ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკითხვაზე **მოგზაურობის** პერიოდში გამოცხადების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღება;
ბ) შეტყობინების მიღება **დაზღვეულის** სამხედრო სავალდებულო სამსახურში **მოგზაურობის** პერიოდში გაწვევის შესახებ;
გ) **დაზღვეულის** ან დაზღვეულის **ოჯახის წევრის** გარდაცვალება;
დ) მოულოდნელი შემთხვევის შედეგად **დაზღვეულისთვის** მიყენებული ტრავმა ან **დაზღვეულის** უეცარი და მოულოდნელი ავადმყოფობა, რაც არ არის განპირობებული **დაზღვეულის არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობით** და რომელიც ხელს უშლის **დაზღვეულს მოგზაურობის** დაწყებაში/**მოგზაურობიდან** დაგეგმილ დროს დაბრუნებაში. **ექიმმა** წერილობით უნდა დაასაბუთოს ასეთი ტრავმის ან ავადმყოფობის გამო **დაზღვეულის** მიერ **მოგზაურების** დაწყების/გაგრძელების შეუძლებლობა;
ვ) დაზღვეულის **ოჯახის წევრის** უეცარი და მოულოდნელი ავადმყოფობა ან მოულოდნელი შემთხვევის შედეგად სხეულისთვის მიყენებული ზიანი/ტრავმა, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას **მოგზაურობის** პერიოდში და რომელიც არ არის განპირობებული ამ **ოჯახის წევრის არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობით;**
ზ) **დაზღვეულის** საკუთრებაში და/ან სარგებლობაში საქართველოში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის ხანძრის, აფეთქების, წყალდიდობის ან ქარიშხლის შედეგად განადგურება ან დაზიანება, რის შედეგად სახლი/ბინა გამგზავრების მომენტისთვის/**მოგზაურობის** პერიოდში საცხოვრებლად გამოუსადეგარია;

4.1.3. სპეციალური ტერმინები ამ დაფარვისთვის
დაფარული ტერიტორია (აღნიშნული ტერმინი ვრცელდება მხოლოდ მოგზაურობის გაუქმების დაფარვაზე) – დაფარული ტერიტორია არის საქართველო.

დაფარული დღეები (აღნიშნული ტერმინი ვრცელდება მხოლოდ მოგზაურობის გაუქმების დაფარვაზე) - დღეები, რომელთა ათვლა იწყება **პოლისის** გაცემის მომენტიდან ან **მოგზაურობისთვის** საჭირო ხარჯის/ხარჯების გაღებიდან იმისდა მიხედვით, თუ ამ ორ თარიღს შორის რომელია უფრო გვიანი და სრულდება **მოგზაურობის** დაწყების მომენტში.

ოჯახის წევრი – ამ დაფარვის მიზნებისათვის ოჯახის წევრს წარმოადგენს მხოლოდ **დაზღვეულის** მეუღლე და შვილ(ებ)ი.

დაფარული ხარჯები – **მოგზაურობის** დაგეგმვასთან/მზადებასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები, რომელიც გაღებულია **დამზღვევის/დაზღვეულის** მიერ გამგზავრებამდე:

ა) ავიაბილეთების შეძენის ხარჯები;

ბ) სასტუმროს (მათ შორის საკრუიზო)/დაქირავებული საცხოვრებელი ფართის ხარჯები;

4.1.4. გამონაკლისები, რომელიც ვრცელდება ამ დაფარვაზე

ჩვენ ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ **მოგზაურობის** გაუქმება ან ვადაზე ადრე შეწყვეტა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია:

ა) სხვა რისკებით, გარდა ზემოთ აღნიშნული **დაზღვეული რისკებისა**;

ბ) **არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობით**;

გ) ორსულობით, მშობიარობით ან მათი გართულებებით;

დ) თვითმკვლელობით, თვითდაშავებით ან მათი მცდელობით;

ე) კანონსაწინააღმდეგო ქმედებით;

ვ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას მიღებული დაზიანებებით, ავადმყოფობით, ასევე, **ექიმის** დანიშნულების გარეშე მიღებული წამლების მომწამლავი ეფექტით;

ზ) ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომით, საზოგადოებრივი არეულობით ან მღელვარებით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით, მანიფესტაციით, ლოკაუტით, გაფიცვით, საბოტაჟით ან ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით;

თ) ფსიქიკური ან ემოციური აშლილობით, დაავადებებით;

ი) პროფესიულ ან/და სამოყვარულო სპორტში, ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში, დელტოპლანითა და პარაშუტით ხტომაში, წყალქვეშ ყვინთვაში, ასევე სხვა სახეობებში ან ღონისძიებებში, რომელიც შეიცავს დაშავების მომატებულ რისკს, მონაწილეობის მიღებით;

კ) განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით;

ლ) არააუცილებელ და/ან ნებაყოფლობით ხიფათში თავის ჩაგდებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას)

მ) პანდემიით, ეპიდემიით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით;

ნ) რადიოაქტიური გამოსხივებით ან დაბინძურებით, ასევე ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები;

4.1.5. სპეციალური პირობა ამ დაფარვისთვის

ამ დაფარვის მიზნებისთვის, **დაფარული ხარჯები** გაღებული უნდა იყოს **დამზღვევის** ან **დაზღვეულის** მიერ. იმ შემთხვევაში, თუ **დაფარული ხარჯები** გაღებული აქვს **დაზღვეულს**, **დამზღვევს** მინიჭებული აქვს **დაზღვეულისგან** შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება დაზღვევის განხორციელებაზე და **სადაზღვევო ანაზღაურების** მიღებაზე.

4.2 შენგენის ზონის ტერიტორიაზე შესვლაზე უარი

4.2.1. ჩვენ, **პოლისში** თითოეულ **დაზღვეულთან** მიმართებაში განსაზღვრული შესაბამისი **ქველიმიტის** ფარგლებში, ავანაზღაურებთ **დაფარულ ხარჯებს**, რომელიც გადახდილია **დამზღვევის/დაზღვეულის** მიერ და არ ექვემდებარება **დამზღვევისათვის/დაზღვეულისთვის** დაბრუნებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას, თუ **დაზღვეული** იძულებულია შეწყვიტოს **მოგზაურობა** ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლისგან შენგენის ზონის ტერიტორიაზე **მოგზაურობით** გათვალისწინებული პირველ შესვლაზე უარის მიღების გამო. აღნიშნული დაფარვა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვეულის**

შენგენის ტერიტორიაზე **მოგზაურობით** გათვალისწინებული პირველი შესვლის დროს ძალაშია უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.

4.2.2. სპეციალური ტერმინები ამ დაფარვისთვის

დაფარული ხარჯები – მოგზაურობის დაგეგმვასთან/მზადებასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები, რომელიც გაღებულია **დამზღვევის/დაზღვეულის** მიერ გამგზავრებამდე:
ა) ავიაბილეთების შეძენის ხარჯები;
ბ) სასტუმროს (მათ შორის საკრუიზო)/დაქირავებული საცხოვრებელი ფართის ხარჯები;

4.2.3. გამონაკლისები, რომელიც ვრცელდება ამ დაფარვაზე

ჩვენ ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის ვალდებულებისგან თუ **დაზღვეულის** შენგენის ზონის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის მიზეზი არის შემდეგი:

ა) **დაზღვეული** არის იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას ან შიდა უსაფრთხოებას;
ბ) **დაზღვეული** არის იმ პირთა სიაში, რომლებსაც აკრძალული აქვთ ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან მინიმუმ ერთ ქვეყანაში შესვლა;
გ) **დაზღვეული** არის ნასამართლევი შენგენის/ევროკავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.
დ) **დაზღვეული** არის უცხო ქვეყნიდან გაძევების (დეპორტაცია) ან საქართველოში იძულებით დაბრუნების (რეადმისია) შესახებ გადაწყვეტილების ობიექტი;
ე) არსებობს დანაშაულებრივ საქმიანობაში **დაზღვეულის** მონაწილეობის ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები;
ვ) **დაზღვეულმა** დაარღვია ან არღვევს შენგენის ზონის ტერიტორიაზე შესვლის ვადებს;
ზ) **დაზღვეულის** მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედება, თვითდაშავება, თვითმკვლელობა ან მათი მცდელობა;
თ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
ი) ომი, საომარი მოქმედებები (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომი, საზოგადოებრივი არეულობა ან მღელვარება, აჯანყება, რევოლუცია, ამბოხება, მანიფესტაციები, ლოკაუტი, გაფიცვა, საბოტაჟი ან ტერორიზმი ან მისი ნებისმიერი გამოვლენა;
კ) **დაზღვეულის** ემოციური ან ფსიქიკური აშლილობა;
ლ) **დაზღვეული** მიემგზავრება მკურნალობის/სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით;
მ) **დაზღვეული** არღვევს ან/და არ ითვალისწინებს შენგენის ზონაში შესვლის მომენტისათვის არსებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე სხვა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაწესებულ/დადგენილ მოქმედ რეკომენდაციებს, მოთხოვნებს, წესებს, რეგულაციებს და სხვა პირობებს / ვერ უზრუნველყოფს შენგენის ზონაში შესვლისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებას ან/და აუცილებელი ყველა დოკუმენტის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლისთვის წარდგენას;
ნ) **დაზღვეული** პირის მიერ განზრახ ჩადენილი ქმედება ან უხეში გაუფრთხილებლობა;
ო) დაზღვეულის ახლო ნათესავი (მშობელი, შვილი, მეუღლე, ძმა, და, ბებია, ბაბუა) იმყოფება შენგენის ზონაში/ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად.

4.2.4. სპეციალური პირობა ამ დაფარვისთვის

4.2.5. ამ დაფარვის მიზნებისთვის **დაფარული ხარჯები** გაღებული უნდა იყოს **დამზღვევის** ან **დაზღვეულის** მიერ. იმ შემთხვევაში, თუ **დაფარული ხარჯები** გაღებული აქვს **დაზღვეულს**, **დამზღვევს** მინიჭებული აქვს **დაზღვეულისგან** შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება დაზღვევის განხორციელებაზე და **სადაზღვევო ანაზღაურების** მიღებაზე.

4.3. ბარგის დაკარგვა

4.3.1. ჩვენ, სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული შესაბამისი **ქველიმიტის** ფარგლებში, ავანაზღაურებთ **ზარალს,** თუ **დაზღვეულის** მომსახურე ავიაკომპანია დაკარგავს **მოგზაურობის**

განმავლობაში თვითმფრინავით მგზავრობისას **დაზღვეულის** მიერ ჩაბარებულ ბარგს. ამასთან, ჩარტერული ავიარეისების დროს დაკარგული ბარგი ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

4.3.2. ჩვენ ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში თუ ბარგის დაკარგვა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომით, საზოგადოებრივი არეულობით ან მღელვარებით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით, მანიფესტაციით, ლოკაუტით, გაფიცვით, საბოტაჟით, ტერორიზმის ან მისი ნებისმიერი გამოვლენით.

4.4. ავიარეისის გადადება (მოგზაურობის შეფერხება**)**

4.4.1. ჩვენ, **პოლისში** განსაზღვრული შესაბამისი **ქველიმიტის** ფარგლებში, ავანაზღაურებთ ავიარეისის გადადების/დაგვიანების გამო **დაზღვეულის** მიერ აეროპორტში ღამის გათენების მიზნით სასტუმროზე გაწეულ ხარჯებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავიაკომპანია უარს აცხადებს აღნიშნული ხარჯების ანაზღაურებაზე და გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება **დამზღვევისათვის / დაზღვეულისათვის** დაბრუნებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას.

წინამდებარე დაფარვის მიზნებისათვის ავიარეისის გადადება/დაგვიანება გულისხმობს ფრენის დაგვიანებას, რომლის მიზეზითაც **დაზღვეულს** უწევს აეროპორტში ღამის გათენება. **ჩვენ** ავანაზღაურებთ სხვაობას ავიაკომპანიის მიერ გადახდილი თანხასა და წინამდებარე დაფარვით განსაზღვრულ **ქველიმიტს** შორის იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვეული** უფრო მაღალი კლასის (ვიდრე ავიაკომპანიის მიერ იქნება შეთავაზებული) სასტუმროში გაჩერებას გადაწყვეტს.

4.4.2 ჩვენ ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ ავიარეისის გადაება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომით, საზოგადოებრივი არეულობით ან მღელვარებით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით, მანიფესტაციით, ლოკაუტით, გაფიცვით, საბოტაჟით, ტერორიზმის ან მისი ნებისმიერი გამოვლენით.

4.5. პირადი პასუხისმგებლობა

4.5.1. ჩვენ სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული შესაბამისი **ქველიმიტის** ფარგლებში , ავანაზღაურებთ იმ თანხებს (**დაცვის ხარჯების** ჩათვლით), რომლის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება ეკისრება **დაზღვეულს მოგზაურობის** პერიოდის განმავლობაში მოულოდნელი შემთხვევის დადგომის შედეგად შემდეგი ზიანით გამოწვეული ზარალისათვის:

ა) მესამე პირისათვის მიყენებული სხეულის დაზიანება და/ან
ბ) მესამე პირის მატერიალური ქონების ფიზიკური დაზიანება;

4.5.2. სპეციალური ტერმინები ამ დაფარვისთვის

დაცვის ხარჯები – **ჩვენი** წინასწარი წერილობითი თანხმობით **თქვენ** მიერ გაწეული გონივრული ხარჯები პრეტენზიის დარეგულირების, დაცვის ან გასაჩივრებისთვის. ის არ მოიცავს პრეტენზიის მოგვარების პროცესში **თქვენ** მიერ გაწეულ საკუთარი დროის დანახარჯებს ან დაკარგულ მოგებას.

4.5.3. გამონაკლისები, რომელიც ვრცელდება ამ დაფარვაზე

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება:

ა) სხეულის დაზიანება, რომელიც მიადგა **დაზღვეულის** დასაქმებულს, ოჯახის წევრს, ნათესავს, **მოგზაურობის** სხვა მონაწილეს;

ბ) ზიანი, რომელიც მიადგა იმ ქონებას, რომელიც არის თქვენი, თქვენი ნათესავის, მოგზაურობის სხვა მონაწილის ან ამ პირების მიერ დასაქმებულთა საკუთრებაში, მფლობელობაში, ასევე იმ ქონებას, რომელიც იმყოფება ყველა ზემოაღნიშნული პირის მზრუნველობის, მეურვეობის ან კონტროლის ქვეშ, გარდა საცხოვრებელი ფართისა, რომლითაც ზემოაღნიშნული პირები სარგებლობენ/დაკავებული აქვთ დროებითი განთავსების მიზნით **მოგზაურობის** პერიოდში;

გ) სხეულის დაზიანება ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ცხოველების, საჰაერო ხომალდის, საწყალოსნო ხომალდის, ველოსიპედის, ავტოტრანსპორტის, ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღის ფლობით, საკუთრებაში ყოფნით ან **თქვენ** მიერ ან **თქვენი** სახელით გამოყენებით;

დ) სხეულის დაზიანება ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებილია მიწის ან შენობების ფლობასთან, საკუთრებაში ყოფნასთან ან მიწის თუ შენობის ფართის დაკავებასთან (გარდა **მოგზაურობის** დროს დროებითი განთავსების მიზნით საცხოვრებელი ფართით სარგებლობისა);

ე) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია/დაკავშირებულია **დაზღვეულის** ან **დაზღვეულის** მიერ უფლებამოსილი პირის არაკეთილსინდისიერი, თაღლითური ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით/ქმედებასთან;

ვ) სხეულის დაზიანება ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც მოსალოდნელია **დაზღვეულის** თვალთახედვით ან მან ასეთი განზრახ გამოიწვია;

ზ) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება, ეფუძნება ან უკავშირდება **დაზღვეულის** მიერ ამა თუ იმ ხელშეკრულების ძალით ნაკისრ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც აღნიშნული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა **დაზღვეულს** ამგვარი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაშიც;

თ) პრეტენზიები, რომლებთან დაკავშირებითაც **დაზღვეული** უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება ნებისმიერი სხვა დაზღვევის საფუძველზე;

ი) ნებისმიერი ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია კომერციული ან პროფესიული საქმიანობის, ფიზიკური შრომის ან მომეტებული საფრთხის საქმიანობის განხორციელებით;

კ) ნებისმიერი სახის სანქციების, ფინანსური გარანტიების, საურავების, ჯარიმების ან სხვა ნებისმიერი სახის სადამსჯელო ხასიათის გადასახდელების სახით წარდგენილი ზარალი;

ლ) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება, ეფუძნება ან უკავშირდება დაავადებას, ავადმყოფობას ან სნეულებას, რომელიც **თქვენ** გადასდეთ დაზარალებულს;

მ) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება, ეფუძნება ან უკავშირდება ნებისმიერი სახის რბოლაში მონაწილეობას;

4.5.4. სპეციალური პირობები, რომელიც ვრცელდება ამ დაფარვაზე:

4.5.4.1. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, მას შემდეგ რაც შეიტყობთ იმ შემთხვევის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს პრეტენზიაში, წერილობით შეგვატყობინოთ აღნიშნულის შესახებ. შეტყობინება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- როგორ, როდის და სად ჰქონდა ადგილი შემთხვევას;
- დაზარალებულ პირთა და მოწმეთა სახელები და მისამართები;
- შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის სახე;

4.5.4.2. თქვენ არ ხართ უფლებამოსილი მოაგვაროთ პრეტენზია, შესთავაზოთ პრეტენზიის დარეგულირება, თქვენს თავზე აიღოთ ან აღიაროთ პასუხისმგებლობა ან აანაზღაუროთ დაცვის ხარჯები, ან თქვენს თავზე აიღოთ რაიმე სახის ვალდებულება ან გაიღოთ რაიმე სახის ხარჯი, **ჩვენი** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. **ჩვენი** თანხმობის გარეშე გაცემული ნებისმიერი გადახდა, დაპირება ან აღებული ვალდებულება არ დაექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე დაზღვევით.

4.5.4.3. თქვენ ვალდებული ხართ

- შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოთ შემთხვევის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს
- დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა თქვენ მიერ პრეტენზიის მიღების მომენტიდან, წერილობით შეგვატყობინოთ აღნიშნულის შესახებ;
- დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ მოთხოვნების, შეტყობინებების, უწყებების ან სხვა იურიდიული დოკუმენტების ასლები, რომლებიც მიღებულია პრეტენზიასთან ან სარჩელთან დაკავშირებით;
- ითანამშრომლოთ **ჩვენთან** პრეტენზიის გამოკვლევაში, დარეგულირებაში ან დაცვაში;

4.5.4.4. ჩვენ უფლებამოსილი ვიქნებით, მაგრამ არ ვიქნებით ვალდებული, გავაკონტროლოთ ნებისმიერი პრეტენზიის წინააღმდეგ დაცვის განხორციელების პროცესი **თქვენი** სახელით და გვექნება სრული დისკრეცია ნებისმიერი მოლაპარაკების წარმართვაში ან პრეტენზიის დარეგულირების პროცესში.

4.5.4.5. ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, **ჩვენ** მიერ წინამდებარე დაზღვევით

ზარალის ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ **თქვენი** პასუხისმგებლობის მოცულობის შესახებ სასამართლოს/არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული მიზნით არცერთ შემთხვევაში არ იგულისხმება **დაზღვეულის** საზიანოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, კანონიერ ძალაში არის იგი შესული, თუ – არა. სასამართლოს მიერ **თქვენ** საწინააღმდეგოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, **ჩვენ** ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის ვალდებულებისაგან.
4.5.4.6. ჩვენ, ჩვენი დისკრეციით შეგვიძლია დავარეგულიროთ პრეტენზია სასამართლოს/არბიტრაჟის გადაწყვეტილების გარეშე, თუ **თქვენ** თანხმდებით **ჩვენ** შემოთავაზებას ასეთი ანაზღაურების შესახებ და გვათავისუფლებთ ყოველგვარი სახის შემდგომი პასუხისმგებლობისგან/პრეტენზიისაგან შემთხვევასთან დაკავშირებით.

5. ზოგადი პირობები

5.1. თქვენი ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს:

5.1.1 ისეთი შემთხვევის, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს **სადაზღვევო შემთხვევა,** დადგომიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ **არაუგვიანეს:**

- **24 საათისა –** ძირითად დაფარვასთან მიმართებაში, შეატყობინოთ **ასისტანსს,** შემდეგ ნომერზე: **+ 7 495 987 17 75, + 49 302 178 25 34;**
- **24 საათისა –** მოგზაურობის გაუქმების, ბარგის დაკარგვის და პირადი პასუხისმგებლობის დაფარვებთან მიმართებაში**,** შეგვატყობინოთ **ჩვენ** (**ჩვენს** 24-საათიან სატელეფონო ცენტრს);
- **საქართველოში დაბრუნებისას საზღვრის გადმოკვეთიდან 24 საათისა -** მოგზაურობის შეწყვეტის, შენგენის ზონის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის და ავიარეისის გადადების დაფარვებთან მიმართებაში, გვაცნობოთ **ჩვენ** (**ჩვენს** 24-საათიან სატელეფონო ცენტრს).

5.1.2. მიიღოთ ყველა შესაძლო გონივრული ზომა ზარალის შემდგომი გავრცობის შეწყვეტისათვის, მისი ოდენობის შემცირების და თქვენ მიერ გაწეული ხარჯების დაბრუნების მიზნით. ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ **ჩვენი** ზეპირი ან/და წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია.
5.1.3. მიიღოთ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოთ **ჩვენი რეგრესული მოთხოვნა** მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად მიყენებულ ზიანზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5.1.4. ხელი შეგვიწყოთ **სადაზღვევო შემთხვევის** გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის გარემოებებისა და ოდენობის მოკვლევა-მოძიებაში.

5.1.5. თქვენ/დაზღვეული ვალდებული ხართ

- <u>ძირითად დაფარვასთან</u> მიმართებაში:

ა) დახმარებისთვის დაკავშირების დროს მიაწოდოთ **ასისტანსს** შემდეგი ინფორმაცია:
(1) **დაზღვეულის** სახელი, **სადაზღვევო პოლისის** ნომერი და/ან პირადი ნომერი;
(2) ტელეფონის, ფაქსის ან ტელექსის ნომერი, რომელზეც შეიძლება **დაზღვეულთან** დაკავშირება;
(3) **დაზღვეულის** მისამართი საზღვარგარეთ;
(4) საჭირო გადაუდებელი დახმარების აღწერა;
ბ) წარუდგინოთ **სადაზღვევო პოლისი** შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებს;

- <u>მოგზაურობის გაუქმების და/ან შეწყვეტის, შენგენის ზონის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის დაფარვებთან</u> მიმართებაში:

ა) **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოგვიდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
(1) სადაზღვევო პოლისი;
(2) წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ/პრეტენზიის წერილი

(3) **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული, კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების (მათი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით) მიერ გაცემული **მოგზაურობის** გაუქმების/შეწყვეტის მიზეზის დამადასტურებელი ცნობები/საბუთები:

- სასამართლოში გამოძახების (დაბარების) დამადასტურებელი დოკუმენტი (უწყება);
- კომისარიატში დაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გარდაცვალების მოწმობა, ფორმა 106 (არსებობის შემთხვევაში);
- ფორმა 100;
- ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მასში მოთავსების, ყოფნის ხანგრძლივობის, გაწერის და ჩატარებული მკურნალობის შესახებ;
- ცნობა ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამომწვევი მიზეზის შესახებ (მიყენებული ზიანის მოცულობის მითითებით);
- ცნობა ჰიდრომეტცენტრიდან;
- შენგენის ზონის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის წერილი;

(4) **მოგზაურობასთან** დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი ქვითრები, ინვოისები ან ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან;

(5) ბილეთები, სასტუმროს (მათ შორის საკრუიზო)/დაქირავებული საცხოვრებელი ფართის ჯავშანი ინვოისი/ანგარიშფაქტურები;

(6) პირადობის მოწმობა, პასპორტი, ვიზა (არსებობის შემთხვევაში), ქორწინების მოწმობა (მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მოწმობა (შვილის შემთხვევაში);

(7) ტურისტული საგზური ან ხელშეკრულება ტურისტულ ფირმასთან (არსებობის შემთხვევაში);

(8) ტურისტული ფირმის, სასტუმროს (მათ შორის საკრუიზო)/ დაქირავებული საცხოვრებელი ფართის მფლობელის ან გადამზიდავის მიერ თანხების დაბრუნების დამადასტურებელი საბუთები;

(9) მომსახურების მომწოდებლის სახელმძღვანელოს ასლი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ჯარიმების შესახებ;

(10) ტუროპერატორის მიერ მოწოდებული წერილი ან ტურისტული სააგენტოსგან მიღებული დეტალური ანგარიში, რომელშიც მითითებულია სამოგზაურო ხარჯების ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას/ანაზღაურებას;

(11) იმ შემთხვევაში, თუ **დაფარული ხარჯების** საფასური გაღებული აქვს **დაზღვეულს**, **დამზღვევისთვის** მინიჭებული შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება დაზღვევის განხორციელებაზე და **სადაზღვევო ანაზღაურების** მიღებაზე.

- <u>ბარგის დაკარგვის დაფარვასთან</u> მიმართებაში:

ა) ბარგის დაკარგვის შესახებ ავიაკომპანიისგან ოფიციალური დასტურის მიღების მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოგვიდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

(1) სადაზღვევო პოლისი;

(2) წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ/პრეტენზიის წერილი;

(3) ავიაბილეთი და ბარგის ჩაბარების დამადასტურებელი ბირკა;

(4) ავიაკომპანიისგან ოფიციალური წერილობითი დასტური ბარგის დაკარგვის შესახებ, დაკარგული ბარგის საერთო წონის მითითებით;

- <u>ავიარეისის გადადების დაფარვასთან</u> მიმართებაში:

ა) საქართველოში დაბრუნების მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოგვიდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

(1) სადაზღვევო პოლისი;

(2) წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ/პრეტენზიის წერილი;

(3) ავიაბილეთი;

(4) ავიაკომპანიისგან ოფიციალური წერილობითი დასტური რეისის გადადების/დაგვიანების შესახებ, დაგვიანებული საათების და სასტუმროს ხარჯების დასაფარად გაცემული თანხის მითითებით;

(5) სასტუმროს ინვოისი, რომელშიც მითითებული იქნება დაზღვეულის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები.

- <u>პირადი პასუხისმგებლობის დაფარვასთან</u> მიმართებაში:

ა) **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოგვიდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
(1) სადაზღვევო პოლისი;
(2) წერილობითი შეტყობინება **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ/პრეტენზიის წერილი;
(3) 4.5.4.1. და 4.5.4.3 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები; ასევე შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ბრალეული პირის მითითებით);
(4) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც დაფიქსირებულია თქვენ მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი; ამასთან, მხარეთა შეთანხმებით ანაზღაურების გაცემა იწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით.
(5) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სხვა პირი იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;

5.1.6. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოვითხოვოთ დამატებითი დოკუმენეტები, თუ ზემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია ზარალის გარემოებების დადგენა ან/და ზიანის ოდენობის ზუსტად გაანგარიშება;
5.1.7. ჩვენ ასევე უფლებამოსილი ვართ, ექიმი-ექსპერტის მეშვეობით გამოკვლევა ჩავუტაროთ **დაზღვეულს** და გავეცნოთ (ასევე, თუ საჭიროდ ჩავთვლით, გამოვითხოვოთ) მის ავადმყოფობის ისტორიას, ამასთან, ჩვენი წარმომადგენელი უფლებამოსილია, შეამოწმოს სამედიცინო დაწესებულებაში **დაზღვეულისთვის** გაწეული სამედიცინო მომსახურების მოცულობა და გაწეული ხარჯ(ებ)ი;

5.2. სადაზღვევო ლიმიტი

5.2.1. ლიმიტი არის **სადაზღვევო პოლისში** განსაზღვრული თანხა, რომელიც წარმოადგენს **ჩვენ** მიერ **პოლისით** გათვალისწინებული ყველა სადაზღვევო დაფარვისთვის ჯამურად გასაცემი **სადაზღვევო ანაზღაურების** ზედა ზღვარს;
5.2.2. სადაზღვევო პოლისში დადგენილი სადაზღვევო **ლიმიტის** ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს **ჩვენი** პასუხისმგებლობის **ქველიმიტი.** ეს უკანასკნელი წარმოადგენს **სადაზღვევო ანაზღაურების** გადასახდელ ზღვრულ ოდენობას, მაგალითად:
- თითოეული დაფარვისათვის/რისკისათვის;
- თითოეული/ცალკეული **სადაზღვევო შემთხვევისათვის** ან/და თითოეული **დაზღვეულისთვის;**

5.3. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის პირობები

5.3.1. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს დაზღვევის საფასურს, რომელსაც **დამზღვევი სრულად** უხდის **მზღვეველს სადაზღვევო პოლისის** გაცემამდე ერთჯერადი გადახდის სახით;

5.4. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება

5.4.1. იმისათვის, რომ დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდეს, აუცილებელია, **მოგზაურობის** დაწყების მომენტამდე ელექტრონულად შეავსოთ სადაზღვევო განაცხადი, დაეთანხმოთ წესებსა და პირობებს და გადაიხადოთ **სადაზღვევო პრემია.** ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის შეძენა ხდება უშუალოდ **მზღვეველის** ოფისში, დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისთვის განაცხადის შევსება არ არის აუცილებელი.
5.4.2. სადაზღვევო პოლისის გაცემა ადასტურებს **დაზღვევის ხელშეკრულების** დადებას. მხოლოდ **პოლისის** არსებობის შემთხვევაში ჩვენ ვალდებული ვართ, **სადაზღვევო პრემიის** სანაცვლოდ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას გავცეთ **სადაზღვევო ანაზღაურება.**

5.4.3. სადაზღვევო პერიოდში სადაზღვევო დაფარვის პირობებში რაიმე ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ამგვარი ცვლილებები უნდა აისახოს პოლისში ან მის დანართში, ხოლო პოლისსა და სადაზღვევო პირობებში შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა პოლისს მიენიჭება.
5.4.4. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში **ჩვენ** უფლება გვაქვს, ცალმხრივად შევცვალოთ წინამდებარე დაზღვევის პირობები, რის შესახებაც გეცნობებათ **ჩვენ** მიერ. **ჩვენ** მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება **თქვენთვის** სავალდებულო ხასიათს ატარებს.

5.5. პოლისის მოქმედების შეწყვეტა

5.5.1. დამატებითი ვადისა და გაფრთხილების გარეშე **პოლისის** მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე წერილობითი შეტყობინების გარეშე, შემდეგ გარემოებებში:
5.5.1.1. პოლისით განსაზღვრული **ლიმიტის** ამოწურვისას/ვადის გასვლისას;
5.5.1.2. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრება **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის შესაძლებლობა და შეწყდება სადაზღვევო რისკის არსებობა ნებისმიერი გარემოებით, გარდა **სადაზღვევო შემთხვევისა**;
5.5.1.3. თუ სადაზღვევო რისკის ზრდა ან ქმედება, რომლის შედეგად დაგიდგათ ზიანი, **თქვენი, დაზღვეულის** ან **თქვენი ოჯახის წევრის** მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული.
5.5.1.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

5.5.2. წინამდებარე **პოლისის** მოქმედება შეიძლება შეწყდეს **თქვენი** ინიციატივით **მოგზაურობის** დაწყებამდე (მრავალჯერადი **პოლისის** შემთხვევაში – პირველი **მოგზაურობის** დაწყებამდე) **ჩვენთვის** წერილობითი შეტყობინების გამოგზავნის საფუძველზე. **ჩვენ** დავიტოვებთ პრემიის 50%-ს, იმ პირობით, თუ წინამდებარე **პოლისზე** არანაირი პრეტენზია არ ყოფილა შეტყობინებული. სხვა შემთხვევაში **პრემია ჩვენ** მიერ დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5.5.3. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შევწყვიტოთ **სადაზღვევო პოლისის** მოქმედება **თქვენი** 24 საათით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გზით. ამასთან, **თქვენ** მიერ **სადაზღვევო პოლისში** მითითებულ ტელეფონის ნომერზე გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება ჩაითვლება **თქვენ** მიერ შეტყობინების მიღებად.

5.5.4. თუ **პოლისის** მოქმედება შეწყდა ნებისმიერი მიზეზით ან რომელიმე მხარის ინიციატივით და ამ **პოლისის** მოქმედების პერიოდის განმავლობაში **ჩვენ** მიერ ანაზღაურებულია/აღიარებულია/ასანაზღაურებელია ზარალი, ზემოთ მითითებული დებულებების მიუხედავად, **პრემია** არც ერთ შემთხვევაში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5.6. როგორ ხდება სადაზღვევო აქტის შედგენა

5.6.1. ჩვენ ვალდებულები ვართ, შევადგინოთ სადაზღვევო აქტი, როდესაც მივიღებთ **თქვენგან სადაზღვევო შემთხვევის** გარემოებების, ზიანის ოდენობისა და **ჩვენი** ვალდებულების წარმოშობის განსაზღვრისა და დადგენისათვის ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და ინფორმაციას, როგორც ამას წინამდებარე პირობები მოითხოვს. **მზღვეველის** მიერ შედგენილ სადაზღვევო აქტს ხელს აწერს, როგორც **მზღვეველი,** ისე – **დამზღვევი/დაზღვეული**.
5.6.2. მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტი წარმოადგენს **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის საფუძველს. **დამზღვევის/დაზღვეულის** მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერამდე **მზღვეველი** უფლებამოსილია, არ გასცეს **სადაზღვევო ანაზღაურება**.

5.7. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

5.7.1. ძირითად დაფარვასთან მიმართებაში:

5.7.1.1. ჩვენ მიერ **წინამდებარე პირობებით** განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება **სადაზღვევო პოლისით** თითოეული **დაზღვეულისთვის** დადგენილი ქვე**ლიმიტის** ფარგლებში უშუალოდ **სამედიცინო დაწესებულებასთან** უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხოლო **დაზღვეული** ვალდებულია გადაიხადოს **ფრანშიზით** და/ან

თანადაზღვევის პირობით გათვალისწინებული თანხა (თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი დაფარვა).

5.7.1.2. იმისათვის, რომ მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორება **სამედიცინო დაწესებულებასთან, სამედიცინო დაწესებულებამ** უნდა წარმოუდგინოს **ასისტანსს** სამედიცინო მომსახურების ინვოისი, ავადმყოფობის ისტორია და ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი, **დაზღვეულის** პასპორტისა და **სადაზღვევო პოლისის** ასლებთან ერთად.

5.7.1.3. იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვეული** ადგილზე გადაიხდის სამედიცინო მომსახურების სრულ ღირებულებას, საქართველოში დაბრუნებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მან უნდა წარმოგვიდგინოს **სამედიცინო დაწესებულების** მიერ გაცემული დასკვნა, ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი, გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და პასპორტი. აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში, **სადაზღვევო ანაზღაურება** არ გაიცემა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ვადაგადაცილება ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი და სათანადო მკიცებულებებით. **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.7.2. დამატებით დაფარვებთან მიმართებაში:

5.7.2.1. ჩვენ გადავიხდით **სადაზღვევო ანაზღაურებას** სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ამასთან, ჩვენ მხოლოდ მაშინ ვართ ვალდებულები გადაგიხადოთ **დაზღვეულის** სასარგებლოდ, თუ **დაზღვეული** ეთანხმება **დაზღვევის ხელშეკრულებას**, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.7.3. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ **სადაზღვევო ანაზღაურების** თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომლების ფაქტთან დაკავშირებით **თქვენი, დაზღვეულის, ოჯახის წევრის** ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

5.7.4. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა რეგულირდება კონკრეტული **მზღვეველისთვის** წარმოდგენილი დოკუმენტაციის და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე.

5.7.5. სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა ლიმიტირებულია შესაბამისი **ქველიმიტით და ლიმიტით თითოეულ დაზღვეულზე**, მიუხედავად **სადაზღვევო შემთხვევების** რაოდენობისა და ზარალის სიდიდისა.

5.7.6. თუ ზარალის ანაზღაურება **თქვენთვის** ან/და **დაზღვეულისთვის** განხორციელდა მესამე პირ(ებ)ის მიერ, **ჩვენ** ავანაზღაურებთ მხოლოდ სხვაობას **დაზღვევის ხელშეკრულებით ჩვენ** მიერ ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ ანაზღაურებულ თანხას შორის. **თქვენ** დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოთ აღნიშნული თანხის მიღების შესახებ და ასევე ყველაფერი იღონოთ მესამე პირებისგან თანხის მისაღებად.

5.7.7. თუ გაირკვა, რომ **სადაზღვევო შემთხევვა** გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, **ჩვენ** უფლება გვაქვს, გამოვიყენოთ რეგრესის წესი და მოვითხოვოთ გადახდილი თანხის ანაზღაურება ბრალეული მხარისაგან.

5.7.8. თუ **თქვენი** ბრალით **ჩვენ** მიერ **რეგრესის უფლების** გამოყენება შეუძლებელი გახდა, **ჩვენ** უფლება გვაქვს, უარი ვთქვათ/უკან მოვითხოვოთ **თქვენგან** გაცემული **სადაზღვევო ანაზღაურების** დაბრუნება.

5.7.9. ჩვენ უფლება გვაქვს, ნებისმიერ დროს შევამოწმოთ **თქვენ** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** მისაღებად წარმოდგენილი მონაცემების სისწორე, მათ შორის, მივმართოთ შესაბამის ორგანოებს/დაწესებულებებს, გამოვითხოვოთ დოკუმენტაცია, და განვახორციელოთ ნებისმიერი ქმედება, რომელსაც **მზღვეველი** საჭიროდ ჩათვლის ინფორმაციის შემოწმებისთვის, **სადაზღვევო შემთხვევის** დარეგულირებისთვის, რისთვისაც **თქვენგან/დაზღვეულისგან, ოჯახის წევრისგან** (რომლებისგანაც თქვენ ანალოგიური ავტორიზაცია გაქვთ მიღებული) გვენიჭება წინასწარი თანხმობა.

5.8. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა

5.8.1. ჩვენ თავისუფალი ვართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ:

ა) **თქვენ/დაზღვეულმა** არ შეასრულეთ თქვენზე ამ **დაზღვევის პირობებით** დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) **თქვენ/დაზღვეულმა არ** გადმოგვეცით **რეგრესის უფლება**/არ მოგვაწოდეთ ის დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად.

გ) თუ **თქვენ** მიერ **თქვენზე** დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის მომენტისათვის **ჩვენ** უკვე განვახორციელეთ **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდა, **თქვენ** ვალდებული ხართ დააბრუნოთ მიღებული ანაზღაურება.

დ) თუ **სადაზღვევო პოლისი** შეძენილია **დაზღვეულის** მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის/**მოგზაურობის** დაწყების შემდგომ, გარდა ისეთი შემთხვევისა, თუ სახეზეა წინამდებარე პირობების 2.3. პუნქტში მითითებული პირობა, რომლის დროსაც აღნიშნული შეზღუდვა არ გამოიყენება;

ე) თქვენ არ დაარეგისტრირეთ შემთხვევა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში და არ წარმოგვიდგინეთ შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტები;

5.8.2. ჩვენ უფლება გვაქვს, უარი ვთქვათ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე** იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებს:

ა) თქვენ/თქვენი ოჯახის წევრმა, **დაზღვეულმა/ოჯახის წევრმა**, განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომასთან.

ბ) თქვენ დაარღვიეთ **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადა.

გ) თქვენ მიერ წარმოდგენილი რისკის შეფასების/**სადაზღვევო შემთხვევის** აღიარების/**სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია არაზუსტი ან ყალბია.

დ) თქვენ უარი განაცხადეთ, უზრუნველყოთ **ჩვენი** წარმომადგენლის მონაწილეობა **სადაზღვევო შემთხვევის** გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში.

ე) თქვენ არ წარმოგვიდგინეთ **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;

ვ) ჩვენ მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ **თქვენ** ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ **ჩვენთვის** ინფორმაცია არ მოგიწოდებიათ წერილობითი ფორმით;

ზ) თქვენ ვერ შეასრულეთ **თქვენზე სადაზღვევო პოლისით,** წინამდებარე პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

თ) თქვენ ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;

თ) თუ ადგილი ჰქონდა ქმედებას, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, **მზღვეველს** უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას **სადაზღვევო ანაზღაურებაზე.**

5.8.3. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი **თქვენ** გადმოგეცემათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზები.

5.8.4. თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ **ჩვენ** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.9. დამოუკიდებელი ექსპერტიზა

5.9.1. ჩვენ და **თქვენ** შეგვიძლია მოვითხოვოთ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება **სადაზღვევო შემთხვევის** გამომწვევი მიზეზების უფრო დეტალურად დასადგენად. დამოუკიდებელი ექსპერტიზა ხორციელდება ექსპერტის ან საექსპერტო კომისიის მიერ, რომელიც ინიშნება **ჩვენ და თქვენ** შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.9.2. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები გადაიხდება:

ა) იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება **ჩვენი** სურვილითა და ინიციატივით, მასზე გასაწევ ხარჯებს ვფარავთ **ჩვენ**;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება **თქვენი** სურვილითა და ინიციატივით, მასზე გასაწევ ხარჯებს ფარავთ **თქვენ**;

5.10. დავების განხილვა

5.10.1. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.10.2. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევიდან გამომდინარე, დავის/უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, **მხარეები** უფლებამოსილები არიან, მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ "სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" (ს/კ 204878481) "დაზღვევის მედიაციას" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე **mediacia@insurance.org.ge**. "დაზღვევის მედიაციის" მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, **მხარეები** უფლებამოლისები არიან მიმართონ სასამართლოს 5.10.1. პუნქტის შესაბამისად.

5.11 კონფიდენციალურობა

5.11.1. თქვენ და **ჩვენ** მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება, გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი **სადაზღვევო პოლისის** ხელმოწერით **თქვენგან** გვენიჭება უპირობო უფლება, **თქვენ** შესახებ **ჩვენ** ხელთ არსებული ნებისმეირი ინფორმაცია **თქვენთან** ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს **თქვენ** აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.
5.11.2. ჩვენ ვალდებული ვართ, სათანადოდ დავიცვათ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია, რომელიც **ჩვენთვის** ხელმისაწვდომი გახდა, **თქვენი** თანხმობით, სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის; ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, დავამუშავოთ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებისათვის და **თქვენ** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მესამე პირთათვის გადაცემის გზით, **ჩვენი** ინტერესების დაცვისათვის და დავამუშავოთ **თქვენი** პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი წესით უფლებამოსლი პირის მეშვეობით.

5.12. ინფორმაციის მიწოდება

5.12.1. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება **მხარეებს** მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გაეგზავნება ფაქსით, ან ფოსტით **მხარეთა** ადგილსამყოფელის/რეკვიზიტების მიხედვით. **მხარეთა** შეთანხმებით, შესაძლებელია **დამზღვევს** შეტყობინება გაეგზავნოს მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების სახითაც. **დამზღვევის** შემთხვევაში, მისი რეკვიზიტების მითითება ხდება **დაზღვევის განაცხადში** ან **პოლისში**. მისამართის/ადგილსამყოფელისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ **მზღვეველისთვის** მიუწოდებლობის შემთხვევაში, **მზღვეველის** მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება **დამზღვევის** მიერ მიღებულად. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც **თქვენ** მიერ მითითებული მისამართი არასწორი ან ხარვეზის შემცველია;

დამზღვევის განცხადებები:

დაზღვევის პირობების აქცეპტირებით (თანხმობის გაცხადებით) და პოლისის შეძენით თქვენ ეთანხმებით და ადასტურებთ რომ:

მზღვეველი უფლებამოსილია:

- თქვენ მიერ წინამდებარე დაზღვევის შეძენის მიზნებისათვის მზღვეველისათვის მიწოდებული თქვენი და დაზღვეულის/დაზღვეულების (რომელთაგან იდენტური თანხმობა/ავტორიზაცია მიღებული გაქვთ, თავის მხრივ, თქვენ) პერსონალური მონაცემები: ასევე მოპოვებული გაქვთ ყველა აუცილებელი თანხმობა დაზღვეულისგან: (ა) დაზღვევის ხელშეკრულების დადებასა და მის/მათ სასარგებლოდ დაზღვევის განხორციელებაზე და (ბ) იმის თაობაზე, რომ მზღვეველი სრულად და შეუზღუდავად ისარგებლებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით;
ამასთან, დამზღვევი ზედმიწევნით სრულყოფილად აუხსნის და განუმარტავს დაზღვეულს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და ასევე, ყველა იმ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა, დაეკისროთ მათგან გამომდინარე;

- დაამუშაოს თქვენი პერსონალური მონაცემები სადაზღვევო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ან/და შეთავაზების ან/და მომსახურების ხარისხის ან/და დანერგვის კვლევის მიზნებისათვის.

დაზღვევის პირობებს, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე ხელმისაწვდომია თქვენთვის, გაეცანით და ეთანხმებით.

ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიიღოთ დაზღვევის პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე ან დაზღვევის გაუქმების შესახებ ინფორმაცია;

სადაზღვევო პოლისისა და დაზღვევის პირობების შესახებ დავის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება მზღვეველთან დაცულ ინფორმაციას/ ვერსიას.

დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის ყველა პირობა არის ნათელი და გასაგები, არ შეიცავს რაიმე ბუნდოვანებას და სადაზღვევო პოლისის შესაძენად თქვენ მიერ გაცემული ნებისმიერი თანხმობა გამოხატულია ნებაყოფლობით, ყველა პირობის (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების) შესწავლის საფუძველზე და უთანაბრდება თქვენ მიერ წერილობით გაცემულ თანხმობას.

ელექტრონული განაცხადის შევსებისას (ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის შეძენა ხდება უშუალოდ მზღვველის ოფისში - სადაზღვევო პოლისის ხელმოწერამდე), თქვენ ვალდებული ხართ დეტალურად გაეცნოთ და დაეთანხმოთ წინამდებარე პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულება არ დაიდება.